20.09.12 № 07-13/10543

თბილისის არქიტექტურა

№

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების

სააგენტოს უფროსს პატონ ტატო ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო,

გთხოვთ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების თანახმად, უზრუნველყოთ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის საკონკურსო განაცხადის გამოქვეყნება თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე.

პატივისცემით,

სამსახურის უფროსი *არისი ბოჭოიძე*

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. მარტკვის 7
ტელ.|+995 32| 272 22 22 ფაქს.|+995 32| 237 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect



<u>კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვის განცხადება</u>

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია “სახელმწოფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონისა და “კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

სარჩევი :

- საკონკურსო განცხადება;
- სამსახურის უფროსის ბრძანება (დანართი №1)
- საპროექტო ტერიტორიის სიტუაციური გეგმა, საზღვრის ჩვენებით;
- საპროექტო ტერიტორიის ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური გეგმა, მასშტაბი 1:2000;
- საპროექტო ტერიტორიაზე არსებული რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების გეგმა;
- საპროექტო ტერიტორიის პანორამული ფოტოები;
- საპროექტო ტერიტორიის გეგმა, არსებული და სამსახურის მიერ შეთანხმებული ობიექტების ჩვენებით. მათი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და ვიზუალი შესაძლოა იხილოთ სამსახურის ინტერაქტიულ რუკაზე;
- საპროექტო ტერიტორიის საზღვრის და რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ვექტორული shp ფაილები.

საკონკურსო განცხადება

1. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახური აცხადებს კონკურსს (შემდგომში – შემსყიდველი ორგანიზაცია) საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. კონკურსის მიზანია კონცეფციის (ჩარჩო გეგმის) დონეზე ქ. თბილისში, მდინარე ვერეს მარცხენა და მარჯვენა სანაპიროზე, თამარაშვილის ქუჩის აღმოსავლეთით არსებული ტერიტორიის სივრცით-მოცულობითი პერსპექტიული განვითარების განსაზღვრა;
3. ტერიტორიის სივრცითი-მოცულობით გადაწყვეტისას გათვალისწინებული უნდა იქნას: წყნეთის ქუჩის მიმდებარე მრავალსართულიანი განაშენიანება და დაბალსართულიანი, ბარაკული განაშენიანების სრული დემონტაჟი. ასევე, უნდა შენარჩუნდეს და მაქსიმალურად გაძლიერდეს მდინარე ვერეს მიმდებარე ტერიტორიის რეკრეაციული ფუნქცია და მასთან ორგანული კავშირი; ძირითადი და უშუალო სატრანსპორტო კავშირებით საპროექტო ტერიტორია დაუკავშირდეს ახალი მაგისტრალის თამარაშვილის ქუჩა – გმირთა მოედნის მიმართულებას, ხოლო ჭავჭავაძის გამზირთან შეინარჩუნოს მინიმალური კავშირები; გზისა და განაშენიანების სტრუქტურის დაგეგმარებისას ბარაკული განაშენიანების ტერიტორიაზე არსებული რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო საზღვრები ნაკლებად იქნას გათვალისწინებული; ადგილობრივი ბარაკული განაშენიანების მოსახლეობის სოციალური საბინაო ფონდისათვის გასათვალისწინებელია მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები 15000 (თხუთმეტი ათასი) კვ.მ საცხოვრებელი ფართით; ამასთან, ძირითადი საცხოვრებელი განაშენიანება უნდა განვითარდეს საცხოვრებელი ზონა 4-ის (სზ-4) ფარგლებში;
4. კონკურსში მონაწილე პირს შეუძლია ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე – www.tas.ge- ზე განთავსებული საკონკურსო მასალებიდან მიიღოს საჭირო ინფორმაცია;
5. აღნიშნული საკონკურსო მასალები ასევე წარმოდგენილი იქნება საკონკურსო განცხადებაზე თანდართული დოკუმენტების სახით;
6. გამარჯვებული საკონკურსო პროექტის შესყიდვის ღირებულება შეადგენს 5000 (ხუთი ათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით, რომლის გადახდაც განხორციელდება თვითმმართველობის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან;
7. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვების ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.procurement.gov.ge;
8. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

- გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
- შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- კონკურსანტის დასახელება და საინდეტიფიკაციო კოდი;
- საკონკურსო განცხადების სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი;

9. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე-6 ან მე-7 პუნქტის დარღვევით წარმოდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას;
10. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე;
11. საკონკურსო წინადადება და ყველა სხვა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, შესაბამისი უფლებამოსილი პირის ხელმოწერით;
12. საკონკურსო წინადადებების მიღება იწყება 2012 წლის 01 ოქტომბრიდან და მთავრდება 2012 წლის 01 დეკემბერს. კონკურსში მონაწილე პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინოს სახელმწიფო შესყიდვების ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.procurement.gov.ge;
13. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება;
14. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;
15. საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგ გრაფიკულ და ტექსტურ მასალას:

- განმარტებითი ბარათი;
- სიტუაციური გეგმა, მასშტაბით 1:5000
- განაშენიანების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები (პუნქტ 4-ში მითითებული განაშენიანების გათვალისწინებით);
- სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზაციის სქემა (ნიშნულების ჩვენებით), მასშტაბი 1:2000;
- საპროექტო ტერიტორიის სივრცითი მოწყობის კონცეფცია (ძირითადი ნახაზი, ნიშნულებით), მასშტაბი 1:500;
- საპროექტო ტერიტორიის სივრცით-მოცულობითი გადაწყვეტის განშლები და ჭრილები, მასშტაბი 1:500
- ავტოტრანსპორტის მოძრაობის და პარკირების, ქვეითთა მოძრაობის სქემა, მასშტაბი 1:500;
- მიწისქვეშა სივრცის გამოყენების გეგმა, მასშტაბი 1:500;
- ფოტომონტაჟები თანდართული პანორამული ხედებიდან და სხვა შესაძლებელი ხედვის წერტილებიდან;

- აღნიშნული ინფორმაცია აწყობილი უნდა იქნას ერთი pdf ფაილის სახით, რომლის მოცულობა არ უნდა არემატებოდეს 100 mb-ს.
- ტერიტორიის სივრცითი მოწყობის ციფრული მაკეტირება, ვიდეო ფაილის სახით, დაარქივებული zip ან rar გაფართოებით, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 100 mb-ს.

16. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა მოხდება საკონკურსო წინადადებების მიღების დასრულებიდან ერთი თვის ვადაში;
17. საკონკურსო წინადადებებს განიხილავს და გამარჯვებულს გამოავლენს საკონკურსო კომისია, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს კომისიის ერთ-ერთი წევრი თავმჯდომარის დავალებით; კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე;
18. გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმება მოხდება საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში;
19. საკონკურსო კომისიას შეუძლია დისკვალიფიკაცია გაუკეთოს იმ საკონკურსო წინადადებას, რომლის კონცეფციაც მიუღებელია იქნება სივრცით-გეგმარებითი და კონცეპტუალური თვალსაზრისით;
20. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები საბოლოო დოკუმენტში;
21. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის კონკურსანტს აუნაზღაუროს კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები;